ГАЗЕТИ ДИРЕ

| თოვლ | მან. | კ. | თოვლ | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვიდად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიეწეროთ: თბილისი, რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ნიდდეკელის საგაზეთოს, გლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიბოედოვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი


**დეკანოზი იაკობ მაქსიმის-ძე** და **ოდდა დამიტრის ასული ჩიკვაკაძენი**, გულითადის მუშაობენ აუწყებენ-რა გარდაცვალებას პირველი მეუღლისა და მეორე დედამთილისას, **ნინო გაბრიელის ასულის ჩიკვაკაძისას**,—სთხოვენ თავის ნათესაულ და ნაცნობთ, მობრძანდნენ გვამის გასასვენებლად საკუთარ სახლიდამ, ნაეთლეულში წმიდის ბარბარეს ეკლესიაში, ხუთშაბათს, ამა აპრილის 30-სა, დილის 9 საათზედ. (1—1)

ტფილისი, 29 აპრილი

ჩვენ წინა წერილში მოვიხსენიეთ, რომ ქალაქის გამგეობამ ავლაბრელების საქმის გამო ყოველნისფერი ფეხ-ქვეშ გაუშალა საქალაქოდ გამორჩომის სურვილსა: ნამდვილი სიმართლეც, დარიბების სვე-ბედიც, მთელის კარგა მოზდილის მკვიდრთა ნაწილის ინტერესიც. ხოლო საოცარი ბოლო ჰქონდა ამ თავის-თავადაც უჯერო სურვილსა. სურვილი ხომ სურვილი იყო და გამგეობამ საქმე კი ისე მოიყვანა, რომ რასაც ავლაბრელები იძლეოდნენ, იმავ ფასად და იმავ პირობით მათი ნაშერი მამული სამს კაცს ჩაუგდო ხელში და ამ სახით არც გამორრჩომა გამორრჩომად გამოდგა და ავლაბრელებიც 332 სული ცარიელზედ დაესვა. ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ 1880 წლამდე იგი მამული ბინც ავლაბრელებს ჰქონდათ იჯარითა.

1880 წელსა ხელახლად მოხდა საჯარო ვაჭრობა იმ მამულების იჯარით გასაცემად. ამ წელს ყოფილმა გამგეობამ თავისი ყოვლად შემძლებელი იერიში მიიტანა იმ მცირეოდენ უპირატესობაზედაც, რომელიც ქალაქის საბჭომ არგუნა ავლაბრელებს 1879 წლის განჩენითა. ეს მცირედი აჩრდილიც მაშინდელის საბჭოს მზრუნველობისა, თითქო თავალში ეცალად ჭქონებია გამგეობას და თავის ნებითა და ძალით გაუუქმებია. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ 1879 წელს საბჭოს მიერ დადგენილი იყო, რომ თუ ავლაბრელები აიდებდნენ იჯარით ხსენებულს მამულს, მათ ფული არ უნდა გამოერთოთს იჯარის ფულის სადად შემოტანის საიმედოდ, არამედ უნდა ჩამოერთვას მარტო ურთიერთობის თავდებობა. ეს განაჩენი საბჭოში დდევანდლამდე ხელშეუხებელია და ამიტომაც ძალა უნდა ჭქონოდა გამგეობისაოვის, რადგანაც გამგეობა ყოველს ფერში ხელქვეითია საბჭოსი. მაგრამ გამგეობამ გააუქმა თავისის ნებით ეს განაჩენი და როცა 1880 წლის საჯარო ვაჭრობაში იგი მამული კვლავ ავლაბრელებს დარჩათ იჯარითა წელიწადში ორასს თუმნად, თავდებობის მაგიერ გამგეობამ ორმოც-და-ათი თუმანი შეტანა წინდრად. ეს ერთი ზოგიერთთაგანი იერიშია, რომელიც გამგეობამ მიიტანა ავლაბრელების საზოგადოების დასარღვევად და ამასთანავე ცხადი მაგალითია იმისი, რომ ხელქვეითმა გამგეობამ თავის მბძანებელის საბჭოს განაჩენი უარ-ჭყო, გააუქმა და არაფერად ჩააგდო. აქ გამგეობის თვით-ნებობის მეტს სხვას არასფერს უმოქმედნია.

ამ სახით 1880 წლიდამ 1883 წლამდე ხსენებული მამული კიდევ ავლაბრის საზოგადოებას ეჭირა იჯარითა. 1883 წელს, რაკი ვადა გავიდა, კიდევ მოხდა საჯარო ვაჭრობა. ავლაბრელები რიცხვით 30 კაცი მოსულა სავაჭროდ და გამგეობისათვის გამოუცხადებიათ, რომ ავეტიქა იშიანოვი, დავით ფოროქოვი და შაქარა თათულოვი მათის საზოგადოების ვექილები არიან და პირობა დაუდვიათ, რომ კანონიერს რწმუნების წერილს წარმოადგენენ. ბოლოს წარმოადგინეს კიდეც და იჯარით ამ ნანადაც დარჩათ მამული ავლაბრელებს და იჯარის ქადალდი მოაწერინეს მათს ვექილებსა. ხოლო საკურადღებოა თვითონ განაჩენი გამგეობისა, რომელშიაც გამგეობა აღიარებს, რომ იშიანოვი და თათულოვი საზოგადოების ვექილები კი არ �, არამედ იმისთანავე წურბელები, როგორც სხვანი. ამ სიტყვებისაგან სჩანს, რომ გამგეობას მკვლეფავობა ამ საქმეში ცოდვად მიუჩნევია და უარუყვია. ეს ხომ ესეა 1883 წელს, მაგრამ 1886 წელს კი იმავ გამგეობას სულ ყოველივე დონისძიება უსმარია, რომ სწორედ მაგ ერთხელ დაწუნებულს მის მიერ მკვლეფავობას დიდი და ფართო გზა გახსნოდა.

ამ ახალს იჯარას, როცა მამული კიდევ ავლაბრელებს სჭერიათ წელიწადში ორას თუმნად, ვადა გასვლია 1-ს იანვარს 1886 წელსა. ამიტომაც 30 ნოემბერს 1885 წ. დაუნიშნავს ახალი საჯარო ვაჭრობა გამგეობას და თუმცა ავლაბრელებს კიდევ ჭქონდათ იჯარის ვადა 1886 წლის 1-ს იანვრამდე, მაგრამ მაშინვე ჩამოურთმევია მამულებიცა იმ მიზეზით, რომ იჯარის ფულის შემოტანა დაუგვიანებიათ. საოცარი ამბავი, ამბავი ვერას გზით ვერ აღსახსნელი ამ ვაჭრობაზედ მოხდა. ამ ხნის სავაჭრო ოქმში*) სწერია: „სავაჭროდ მოვიდნენ მეორე გილდიის ვაჭარნი ყაზარ ახნაზაროვი, ავეტიქა ახნაზაროვი და იაკობ ქიშმიშოვი და ცამეტი კაცი ავლაბრელნი, ცალ-ცალკე დასახელებულნი და გამოაცხადეს, რომ ყოველ ამათ საერთოდ უნდათ ვაჭრობა», «წარმოადგინეს წინდრად ასი თუმანი».

აქ კიდევ საკვირველი არა არის რა: თექსმეტმა კაცმა ერთად ისურვა მამული იჯარით აიღონ და ასი თუმანი წინდრად წარმოადგინეს. სასწაული მეორე მოქმედებაში და რამოდენად საბარაქალოა ეს სასწაული, მკითხველი დაინახავს შემდეგადამ. რადგანაც მოცილე არა ჰყოლიათ, რა თქმა უნდა, ამ თექვსმეტს კაცს გამოუცხადებიათ თავისი ფასი ორასი თუმანი წელიწადში და ეს ლოდიკისა და კანონის წინააღმდეგი ვაჭრობა ვაჭრობად შეურაცხავს გამგეობას. იმის შესახებ თუ,—რა არის ლოდიკით და კანონით საჯარო ვაჭრობა, „ბერე მოგილაპარაკებთ და ეხლა კი აი რა საოცარს ამბავს გავუწყებთ. დარჩენათ რა იჯარა ხსენებულ 16 კაცს, იმთგან სამს კაცს ყაზარა და ავეტიქა ახნაზაროვებს და იაკობ ქიშმიშოვს, ამ „მეორე გილდიის კუშნებს“ ეს პირობა დაუდვიათ (საჯარო ვაჭრობაშიჩ!): თუ ვინიცობაა დანარჩენნი მათი ამხანაგნი არ შეავსებენ უკვე წინდრად შემოტანილს ასს თუმანს, იჯარა მარტო მათ სამს კაცს დაუმტკიცდეს და იჯარის ქადალდიც მარტო იმათს სახელზედ დაიწეროს“. გაიგეთ!.. ყველანი საერთოდ, საამბანაგოდ ჭვაჭრობენ, საამხანაგოდვე შემოაქვთ საწინდრავი ფული და მათში სამი კაცი რა რიგად ატრაბუნებს საქმესა და გამგეობაც ამაზედ ყურს იყურუებს! საჯარო ვაჭრობის წესი კი ეს ასრის, რომ ყოველი პირობა წინად გამოცხადებული უნდა იყოს საყოველთაოდ რომელისამე ოქმითა. აქ სულ უეცარი პირობა

*) იხილეთ ოქმი 1885 წლის 30 ნოემბრისა.

# ფელეტონი

## ბიბლიოგრაფია

Очерки Кавказа. — Картины Кавказской жизни, природы и исторіи—Евгенія Маркова. С.-Петербургъ. 1887 г. изд. тов. М. О. Вольфъ. (აღწერა კავკასიისა.—სურათები კავკასიის ცხოვრებისა, ბუნებისა და ისტორიისა—ევგენი მარკოვისა. ს.-პეტერბურგი, 1887 წ. გამოცემა ვ. ვოლფის ამხანაგობისა).

ამ წლის დამდეგს გამოვიდა რუსულს ენაზე ზემოსხენებულის სახელით კარგა დიდის ტანის წიგნი 700 გვერდიანი და ამ ბოლოს ხანებში ტფილისშიაც გამოჩნდა წიგნის მაღაზიებში. „კავკასიის სურათები“ ისეთის ღირსებისაა, რომ მისი გამოსელა შეუნშენელად ვერ დარჩება. თვით მისი დამწერი ბ-ნი ევგენი მარკოვი ცნობილი მწერალია რუსულს ლიტერატურაში. ამ ახლად გამოსულის წიგნის ბევრი ნაწყვეტები ამ რამდენისამე წლის წინად პეტერბურგის უმთავრესს ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა, ჩვენის აქაურის საზოგადოებისაგან უყურადღებოდ არ დარჩა და ინტერესით იკითხებოდა. არა ვგგონია, რომ ეს წიგნი რუსეთშიაც ნაკლების ინტერესით იკითხებოდეს.

ჟურნალებში და გაზეთებში გაბნეული ნაწყვეტ-ნაწყვეტად „კავკასიის სურათები“, რასაკვირველია, ისეთს სრულს შთაბეჭდილებას არ იქონიებს მკითხველზე, როგორც ერთს წიგნში დალაგებით დაკავშირებული. ამიტომ ამ წიგნმა უნდა მოიპოვოს საჩენი ადგილი რუსულს მწერლობაში, რაც კი დაწერილა კავკასიაზე მოგზაურთაგან. მარკოვის ნაწერს მგზავრის წერილების სახე აქვს. იწყებს გამოელილის ადგილზე წაკითხულის, გაგონილის და თვალით ნახულის აღწერას მსუბუქის, მგზავრულის წერილის კილოთი, აკვირდება ბუნების სურათს, აკვირდება ყოფა-ცხოვრებას, იხსენებს ისტორიულს წარსულს და ყველა ამათგან გამოწვეულს მსჯელობას და დასკვნას გულ-წრფელად წინ გვიშლის.

მთელი წიგნი ოთხ ნაწილად იყოფება. პირველ ნაწილში (Черезъ хребетъ) გვიხატავს ბუნებას და კაცს ჯერ კავკასიის მოსამზღვრე ადგილ-მინდვრისას, მერმე კავკასიის იქითა და აქეთ ადგილებს გზის მოყოლებით ტფილისამდე. ამ ნაწილში შემოდის წერილები ყაბართოელებზე, ოსებზე და რამდენადმე ქართველებზე. შეეხება ბუნების აღწერას, ხალხის ისტორიის ძველსა და ახალს დროს, კარგსა და ცუდს მხარეს ყოფა-ცხოვრებისას. მეორე ნაწილი (Долина Ріона) სრულად ქართველთა ყოფა-ცხოვრებაზეა, ქართლზე, იმერეთზე და რიონის-ხეობის მნიშვნელობაზე, როგორც ევროპის სავაჭრო გზისა. **მესამე** ნაწილი (Тифлисъ и Кахетія) შეიცავს უმეტესად ტფილისის აღწერას, მის ძველსა და მეტადრე ახალ ყოფა-ცხოვრებას, სწავლა-განათლებას, ეკონომიას და სხვას; მეოთხე ნაწილი (Дагестанъ)—დღისტანის აღწერას.

ყოველ ადგილის გამოელაში მგზავრი თვალ-წინ გვიხატავს ბუნების საერთო სურათსა; ადგილ-ადგილ მხატვრობითის კალმითაც წარმოგვიდგენს მის სახეს; მოგვითხრობს მისს სამეურნეო და სამრეწველო წარმოებას და ღონეს; მის სიმდიდრეს ანუ ნაკლებობას. ბუნების აღწერასთან შეკავშირებული აქვს ადამიანის ყოფა-ცხოვრების მოწყობილების აღწერაცა: კარმიდამოსი, ყანა-მინდვრისა, ბაღ-ვენახისა და მის შემუშაებისა; შედის თვით სახლში, ათვალიერებს ოჯახის მომართულობას და აეეჯეულობას. აკვირდება მის წარმატების ანუ ნაკლებულობის მიზეზებსა, კრიტიკულის თვალით არჩევს, ადარებს რუსეთის ანუ ევროპიულის სოფლის ან ქალაქის ყოფა-ცხოვრებასა; ისტორიულ წარსულ გარემოების განხილვას ყურადღებას აქცევს და ყოველ ამაების გამოსახვით და განხილვით უნდა რომ მკითხველს ნამდვილად განათლებულის კაცის თვალით გააცნოს თბილისელის ავტორისაგან ნახული მხარე და ააცდინოს ცრუსა და ტყუილს, სხვისაგან ნალაპარაკევს შეცდომილის აზრსა კავკასიის ბუნებასა და ერებზე.

როდესაც ბ-ნი მარკოვი რომელისამე ერის ყოფა-ცხოვრების მოწყობილებაზე ან მისს მართვა-განმგებლობაზე ლაპარაკობს, განათლებულის და გულ-შემატკივარის კაცის თვალით არჩევს ნაკლებულობას, შეცდომას, რომელისაგანაც ენება წარმომდგარა, და ცდილობს ამ შეცდომის ნათლად გამოსახვასა, რომ შემდეგში ერის ბედის მომველელმა ეს ნაკლულეანება თავიდამ აიცდინოს. მაგალითად ყაბარდოს გლეხთა ცხოვრების აღწერაში მოიხსენებს შეცდომას, რომელიც პირველსავე ხანებში, წარსულ საუკუნეში მოხდა, გვაჩვენებს, რომ ვერ გაიგესო დამოკიდებულება კავკასიის ბატონებისა და გლეხთა და ისე შეხედეს, როგორც რუსეთის მაშინდელ ბატონ-ყმობასა; ამ შეცდომიდამ ის წარმოსდგაო, რომ ძველი თავისუფალი გლეხები ყმებად გადაიქცენო, მაშულები მოუჭრეს და სხვებს მიუზომესო; ამ გვარათვე სხვაგან პირუთნეველად ლაპარაკობს ადრინდელ, თუ შემდეგის ხნის სამხედრო გამგებლობის და მართვის მოწყობილებაზე. როდესაც ქართველობას შეეხება, მისს მწერლობა ენას, სკოლასა და სხვაზე თანაგრძნობით ლაპარაკობს და სამართლიან აზრების გამოაშკარავებას ცდილობს. ამ გვარი განხილეა ფაქტებისა და მოსაზრება ბევრია და ყველა ნათქვამს აქ რასაკვირველია ვერ ეიტყვიით, რისაც თქმას და ბეჭდვას პეტერბურგში ახერხებენ.

საზოგადოდ ავტორი როდესაც დასკვერის და მოგვითხრობს კავკასიის ერების აწმყო ან წარსულ ცხოვრებას, ის ემსგავსება უფრო მშვიდობიან მომთხრობს ისტორიისას, ვიდრე ბრაზიან პუბლიცისტს ცრუ-პენტელა მოუბარს, ტყუილისა და უსამართლო გულის თქმით პპილპილებულს მოლჩაწოლის მსაგს მწერალსა. ავტორი კავკასიის ერების ცხოვრებაში, რასაკვირველია ნაკლულეანებასაც ჰხედავს, ეს თვითონ ამ ერებმაც იციან, მაგრამ ამასთანავე ყოველს ერში იმდენს საყვარელ, კარგს თვისებასაცა ჰპოულობს, რომ ყველა ერზე „კავკასიის სურათებში“ თანაგრძნობა უფრო გამოიოქმის, ვიდრე დაწუნება ანუ რაიმე მიუწდომელი სხვა ანგარიში, რომელსაც ჰქადაგებენ ხოლმე «ნოეიდ ერემიას» მოლჩანოგისებური მწერლები. მაგალითად, ჰხედავს რასმე მეცეკურ მკვლელობას დალისტანში. რას იზამდა ყოველი მატანტალა მოგზაური მწერალი? გამოჰლანძღავდა, ერს ცუდს რასმე შესწამებდა, ყოველ უზნეო

იყო შეწუნარებული, მერე ვისი? გამგეობისა? საბჭოსი? არა: ახნაზაროვებისა და ქიშმიშოვისა. ამ სახით გამოდის, რომ საქალაქო საჯარო ვაჭრობის პირობების მდებელი საბჭო და გამგეობა კი არა უოფილა, არამედ ახნაზაროვები და ქიშმიშოვი.

რა თქმა უნდა დანარჩენთა ამხანაგთა ამ ქიშმიშოვისა და ახნაზაროვთაგან დადგენილი პირობა არ შეასრულეს, იქნება იმიტომაც რომ არც კი იცოდნენ ეს რა პირობაა, და იჯარა დარჩათ ხსენებულს სამს კაცსა იმავე ფასად, რასაც თვითონ ავლაბრელელთა საზოგადოება იძლევოდა და იმავე პირობებითა. ამ სახით გამოვიდა, რომ გამგეობამ იგი კაცნი, რომელნიც მთელის ავლაბრის საზოგადოების ვექილნი იუვნენ, ცალკე მუვლეფაჯ კაცებად ჩასთვალა და მართლა ცალკე კაცნი ახნაზაროვები და ქიშმიშოვი კი საზოგადო ინტერესების წარმომადგენელად!...

ეს კიდევ არაფერი: სასწაულთმოქმედება გამგეობისა ამაზედ არ შეჩერდა. წინანდელის იჯარისა 370 მანათი ავლაბრელებზედ იყო დარჩენილი. როცა უკანასკნელი იჯარა ახნაზაროვებს და ქიშმიშოვს დაუტეტიცეს, ეგ დარჩენილი ავლაბრელებზედ ფული ამათ იკისრეს და შეიტანეს საქალაქო ხაზინაში. რადგან? ძნელი პასუხის საგებელია ეს საკითხავი, მაგრამ გამგეობამ აქაც თავი იჩინა. ავლაბრელებს ჯარიმათ ორმოც-და-ათი თუმანი სწერებია, თუ რომელსამე მუხლს იჯარის ხელშეკრულობისას დაარღვევენ. გამგეობას აუღია და ახალ იჯარადარ ქიშმიშოვისათვის რწმუნების წერილით მიუნდვია ეს ორმოც-და-ათი თუმანი გადაახდევინოს ავლაბრელებს, აქედან 129 მან. და 75 კაპეიკი გამგეობას წარმოუდგენოს და დანარჩენი თავის სასამართლოს ხარ-ხასიათს დაუბრალებდა, გააჭრელებდა წერილს მის უნიჭობაზე და გაათავებდა უარესთ-უარესის მოსაზრებითა.

ბ-ნი მარკოვი ასე არ ჩადის. ის აკეირდება ერთსა და ორს შემთხვევას კი არა,—მრთელ ჯგუფს რომელისამე ფაქტისას, სინჯავს სასამართლოში წარმოებულს საქმეებს, მოკითხულობას ახდენს გარშემო მყოფ ხალხში, აკეირდება და პოულობს ნამდვილ მნიშვნელობას ამ ფაქტის გამოჩენისას. როდესაც განათლებულის გასინჯვით არჩევს თვალად ნახულ მხეცობას, ამ გარეგან სიმხეცეში იგი ჰხედავს შედეგს მაღალის სულის თვისებისას, დაუფასებელს ღირსებას და აღტაცებული იძახის: «მიეცით ჯეროვანი, ხალხის ხასიათის შესაფერი ფორმა მის ყოფა ცხოვრების მიმდინარეობას და ეს თვალად სანახაო გარეგანი მხეცობა გარდიქცეეა უმაღლეს მოქალაქობრივ სათნოებადაო.»

როდესაც კავკასიის ყოფა ცხოვრებას ადარებს რუსეთისას ანუ ევროპიულისას, ბ-ნ მარკოვის ნაწერებში ისეთი ადგილებია, რომელიც კარგის ყურადღების ღირსია ყველა მკითხველისათვის, ჩვენებური მცხოვრებელია თუ მოსული მოქმედი მმართველი, ან გამგებელია ხალხის ბედისა, თუ შორიდამ მზრუნველი ანუ მეცნიერი გამომკვლეველი ჩვენის ცხოვრებისა. მაგალითად, აკეირდება მიზეზს ინგლისის კოლონიების აღყავებისას და იზავე ჯითა და ბორჯითა ქიშმიშოვმა მიიღოს გასამსჯელოდ და იმ 370 მანათში, რომელიც იჯარადრებმა შეიტანეს წინად ავლაბრელების მაგიერ. როგორ მოგწონთ განსჯარგულება! საქალაქო მმართველობას, რომელსაც წლიურის ჯამგირით თავისი საკუთარი ვექილი ჰყავს, აუღია და თავისი სადავო საქმე გადაუცია გარეშე კაცისათვის, მერე ვისთვის? იჯარადარისათვის, რომელიც უამისოდაც მეხიზა და სეტყვისავით თავზე უნდა დასცემოდა ავლაბრელებს, რადგანაც მათი უშრიანი მამული და ერთად-ერთი სახსარი ცხოვრებისა იმავ კაცის ხელში ჩააგდო გამგეობამ. დიდი, გულ-მტკივნეულმა გამგეობამ, ტფილელთა მკვიდრთა კეთილდღეობის მონადვლემა და მზრუნველმა, ერთი მიზეზი 332 სულის დაწიოკებისა კიდევ ხელთ მისცა გარეშე კაცსა!... მოდით და ამას იქით სთქვით, რომ ტფილისის ქალაქის გამგეობა არა ჭზრუნავს და არა ჭნადვლობს მკვიდრთა სიკეთე სათვის!...

## ახალი ამბავი

*** დღეს, ხუთშაბათს, საღამოს ექვს საათზე, დანიშნულია ფლიური საზოგადო კრება საზოგადოებისა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის სათავად-აზნაურო სკოლის დარბაზში. კრებას რამდენიმე საყურადღებო საგანი აქვს განსახილველი. ეგონებთ, საჭირო იყოს, გავახსენოთ მკითხველებს, რომ ტფილისის სათავადაზნაურო მანკის დამფუძნებელნი წევრნი ყველანი ზემოხსენებულ საზოგადოების წევრადაც ითვლებიან და შეუძლიანთ კრებაზედ დაესწრნენ.

*** როგორც მოეხსენებათ ჩვენს მკითხველებს, გაზ. «ცისკარის» რედაქტორმა ბ-მა კერესელიძემ ამ რამდენისამე ხნის წინად შეიტანა ქალაქი კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში და სთხოვა ამ საზოგადოებას ი შუა-მდგომლე მთავრობის წინაშე რომ ფულით შემეწეოს და სოფლის საზოგადოებათა დადგილოს „ცისკრის“ გამოწერაო.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ ბ-ნ ი. ი. წინამძღვრიშვილს და ს. ქ. ხოჯაევს მიანდო გადაეწყვეტათ, ღირსია თუ არა ზემოხსენებული გაზეთი ამ გვარის შემწეობისა? ამის გამო ბ-ნმა წინამძღვრიშვილმა და ხოჯაევმა წარადგინეს კერძო მოხსენება, რომელიც განიხილა საზოგადოების რჩევამ და 28 აპრილის საერთო კრებაში წაკითხული იქმნა შემდეგი განჩინი: საზოგადოება სთხოვს ბ-ნ წინამძღვრიშვილს და ხოჯაევს წარმოადგინოს „ცისკრის“ უმთავრეს თანამშრომლების სია, რომლის მიხედვითაც სამეურნეო საზოგადოება ი შუა-მდგომლებს მთავრობის წინაშე შემწეობის თათბაზე. ამასთანვე წაკითხული იქმნა არზა ბ-ნ კერესელიძისა. ამ არზით ბ-ნი კერესელიძე თხოულობდა, რომ ჩემი წინანდელი თხოვნა საზოგადოებამ უყურადღებოდ დასტოვოსო. ამის შემდეგ, რასაკვირველია, თავი დანებეს გაზ. „ცისკარზედ“ ბაასს, მაგრამ ბ-მა ხოჯაევმა სხვა მიმართულება მისცა ამ საქმეს. პატივცემულმა აგრონომმა ბრძანა, რომ თუმცა, რასაკვირველია, ჩვენ ნება აღარა გვაქვს განვაახლოთ ბაასი «ცისკრის» თათბაზე, მაგრამ რადგანაც ხვნა-თესვას მიმდევარ გლეხისათვის ძრიელ სასარგებლო იქნება კარგი სამეურნეო გაზეთი, ამის გამო საზოგადოება უნდა ეცადოს რიმე გზით დაარსოს საუკეთესო სამეურნეო გაზეთი ქართულს ენაზედაო. საზოგადოებამ დიდად თანაუგრძნო ბ-ნ ხოჯაევს და გადასწყვიტა, დაეაღოს რჩევან დაწერილებნი ბ-ნ ანინოროს და შეიმუშაოს ახალის ქართულის სამეურნეო გაზეთის დაარსების საქმე.

*** სამეურნეო და სასოფლო მრეწველობის დეპარტამენტს გამოუგზავნია კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისათვის სამ გირვანქაზე ცოტა მეტი საუკეთესო თამბაქოს თესლი ჩვენს სანკავკასიაში გასაყრელელად. ამ თესლის ნახევარი უუბანის ოლქის უფროსს გაეგზავნება, მეოთხედი სიღნაღის მაზრის უფროსს და დანარჩენი ლაგოდეხის მეტყველე მლაკასელეს და ტფილისის საბაღნო სკოლას.

*** ვეტერინარმა ბ-მა ბოლოტოვმა სთქვა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კრებაზე, რომ საბაღნოსო სკოლის სახლი ძრიელ ცუდად არის აშენებული და თითქმის ქალაქის შენობასა ჰგავსო. არც კეღლებია აშენებული მკვიდრად, არც იატაკია რიგიანად დაგებული და ასე გასინჯეთ, შეშებიც კი უკარგესია ჩასმულია.

*** მოხსენება ბ-ნის ფონ-ვეისენგოფისა, „Какимъ нуждамъ должны предпочтительно служить воды Кавказа“, რომელიც წაკითხული იყო შერეთებულ კრებაზე სამეურნეო და სატეხნიკო საზოგადოებაში, ავტორმა გაზ. „კავ“-ში დაბეჭდა. ეს მოხსენება ახლა სამეურნეო საზოგადოების ჟურნალში დაიბეჭდება და ავტორს კი საყოველი არ მიეცემა, რადგანაც საზოგადოების კრებაზე წაკითხული მოხსენება უთუოდ საზოგადოებას უნდა დაებეჭდა და არა ავტორს.

*** ამას წინად სამეურნეო საზოგადოების თავიოსნობით გადათარგმნილი და დაბეჭდილი იქმნა ოთხს ენაზედ (რუსულ, ქართულ, სომხურსა და თათრულზე) პატარა წიგნაკი ბოლესი აბრეშუმის ჭიაზედ. ეს წიგნაკები ძრიელ ისყიდება და, რადგანაც სამერმისოდ სრულად აღარ დარჩება, კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ გარდასწყვეტა სამერმისოდ ეს წიგნი ხელ ახლად დაიბეჭდოს.

*** ქართლიდამ გვწერენ: ეს ერთი კვერაა, რაც თბილი დარები დაიჭირა; ძლიეს გავიდა ხალხი სამუშაოდ, სახნავ-სათესად. ქერები წელს ქართლში ძალიან ნაკლებად არის, ე. ი. ცოტა დაითესა, რადგანაც თებერვალმა და მარტმა სულ აეფრობით გაიარა; ამ აპრილში მხოლოდ სასიმინდეებს ხვნენ და სთესენ სიმინდსა. ამ რამდენისამე დღის სითბომ ბუნება მთლად გადაჭეპნტა და გააფურუნა; ხშირის წვიმების შემდეგ, სითბოებმა ჯეჯილი ძალიან შემაღლა; საზოგადოდ ჯეჯილს ჯერ-ჯერობით კარგი პირი უჭანს, მაგრამ ამ ხნობით მოსავალზე ვერც „ჰო“-ს ვიტყვით და ვერც „არა“-სა.

*** გორიდამ გვატყობინებენ: „ამ აპრილის 30-სა დანიშნულია სამღვდელოთა კრება ქ. გორში. სამღვდელოთა წარმომადგენელებმა (დეპუტატებმა), სხვათა შორის, უნდა გადასწყვეტონ სასწავლებლის შენობის საქმე. რადგან „ფოდრაჩიკებმა“ ერთობ ბევრი ითხოვეს და სამღვდელოება ვერ შესწედა, ამიტომ ახლა ჭსურთ შენობა იყიდონ და ისე გადაკეთონ, რომ სასწავლებელს გამოადგეს, მოთავსდეს. ჩვენის მხრით ეურჩევთ სამღვდელოთა წარმომადგენელებს, რომ რომელიმე სახლი აირჩონ, იყიდონ და გადაკეთონ. ამ შემთხვევაში სასწავლებლის გადატანა შეიძლება მომავალის სასწავლო წლის ენკენობითვეში თუ არა, ღვინობისთვეში მაინცა. თორემ თუ ახალი შენობის გაკეთებას მოუცდიან, ვინ იცის, იქნება, აწინდელი შენობა სასულიერო სასწავლებლისა თავზედაც დაეწვეთ და ერთი ცოდო დაატრიალოს. ისე დაძაბუნებულია აწინდელი შენობა სასწავლებლისა, რომ ეს შემთხვევა სრული მოსალოდნელია. ყოველწლივ უკანასკნელ ას თუმნამდე ეხარჯება სამღვდელოებას ამ სასწავლებლის შეკეთებაზე. თუ სამღვდელოება სახლს ვერ აიჩენს, უმჯობესი იქნება ახალის სახლების აშენებამდე იქირაონ სადმე სახლები; სულ ერთია, ბევრ ადგილ ქალაქში ასეთ ამბავი ეყოფა. ეს ამბავი ეს ამბავია, ეს ამბავი ეს ამბავია, ეს ამბავი ეს ამბავია,

მაინც ყოველ-წლივ ას თუმნამდე ეხარჯებათ და ამ ფასად ხომ სახლებსაც იქირაობენ. ჩვენ შეგვიძლიან დავასახელოთ სახლი, რომლის ყიდვა საშეღვდელობას შეუძლიან: ეს სახლი არის ქნ. იელიტა ერისთავისა.

*** პარასკევს 1 მაისსა და ორშაბათს 4 მაისს ტფილისის საქალაქო საბჭოს 14 სხვა-და-სხვა საგანი აქვს განსახილველი. ზოგიერთი საგნები მათ შორის ფრიად სანტერესოა.

# დეპეშა

28 აპრილი

პეტერბურგი. გამოცხადებულია შემდეგი გარდაწყვეტილება სახელმწიფო საბჭოისი: სამხედრო ბეგრის საგუბერნიო ბრისუტსტვია ვალდებულია ხელ-მეორედ გასინჯოს და შეამოწმოს თვითოეულად ყველა, ვინც საჩივარს შეიტანს და გამოაცხადებს, რომ კარგად არ გამსინჯესო და კარგად ვერ გაიგეს, რამდენად გამოსადეგი ვარ სამხედრო სამსახურისათვისაო, ან სწორედ ვერ შემატყეს წყლოვანობა სახეზეო. ხელ-მეორედ უნდა შეამოწმოს და გასინჯოს კაცი მეტადრე უფრო მაშინ, როცა სამაზრო ბრისუტსტვიას ერთხმად არ დაუდგენია თავისი გარდაწყვეტილება ან ერთისა და ან მეორე საგნის გამო. ვინც საჩივარს შეიტანს, იმისი გაგზავნა ჯარში გადაიდება. თუ ვისზედმე ერთხმად დაუდგენიათ გარდაწყვეტილება და იმას მაინც საჩივარი შეუტანია, შეიძლება ხელ-მეორედ გაისინჯოს ის კაცი, უკეთუ საბრალოდ დაინახავს ამას საგუბერნიო ბრისუტსტვია; ამ შემთხვევაში ადარ გადაიდება გაგზავნა ჯარში წასასვლელისა თავ-მოსაყრელ ადგილ, ხოლო გასინჯვით, ის საგუბერნიო ბრისუტსტვია გასინჯავს ხელმეორედ, რომელიც უფრო ახლოა ჯარზედ, საცა მომჩივანი ახალის ჯარის-კაცად ჩარიცხა.

29 აპრილი

პეტერბურგი. ომსკის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის თანაშემწე, გენერალ-მაიორი შრეტინინი დანიშნულ იქმნა სემიპალატინსკის ოლქის სამხედრო გუბერნატორად გენერალ ციკლინსკის მაგვრად, რომელიც ჩარიცხულ იქმნა საგენერალო შტაბის ზანაში.

პარიზი. გენერალმა ბულანქემ შეიტანა კანონ-პროექტი იმის თაობაზედ, რომ ოქტომბერში საცდელად საომარ ფეხზედ დავაყენოთ ერთი კორპუსი ქვეითის ჯარისაო. ამ საქმეს სულ 12 დღეს მოვუნდებით და დაახლოვებით ნ მილიონი ფრანკი დაჯდებაო.

ბალატამ გადასწყვიტა, რომ ჯერ განვიხილოთ კანონ-პროექტი შაქრის თაობაზე და მერე კანონ-პროექტი ჯარის ცვლილებაზეო. და დაადგინა: მოემატოს 10 ფრანკი ბაი ყოველ 100 კილოგრამ შაქარზე, სადაურიც უნდა იყოს იგი შაქარიო.

ბერლინი. რეიხსტაგმა დაიწყო პირველი კითხვა არაყზე ბაკის დადების კანონ-პროექტისა.

## ვერძიო განცხადებანი

ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე 17 § ძალით ბანკის გამგეობის სადგურში საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქმნებიან ხსენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, შესაბამ სადგურთა გარდასახადთა შემოუტანლობისა გამო.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულებისა, რომელთა მეპატრონენი, თანახმად ბანკის წესდების მე 19 §-ისა, შეავსებენ ბანკის გარდასახადს და თან განცხადებთა ხარჯებს.

18 7/12 წლიანნი სესხნი:

ქ. ქუთაისს.

ვარდანაშვილისა, გიგო მახარობელის ძის: ნემეცის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვეითკრის დუქანი და მიწა 15,42 კვადრ. საჟ.

გოგიავასი, აღათი მოსეს ასულის: პოლიციის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 241 კვადრ. საჟ.

დარახველიძისა, მიხაილ ერასტოს ძის: ორპირის ქუჩაზე ორი ქვეითკრის სახლი—ერთი ორ-სართულიანი და მეორე ერთ სართულიანი და მიწა 312 კვადრ. საჟ.

თურქიასი, მამუკა კოსტას ძის: ეოკზალის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვეითკრის სახლი და მიწა 2330 კვ. საჟ.

მემკვიდრეთა ჩარექოვისა, ელისაბედ სიმონის ასულის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვეითკრის დუქნები სარდაფით და მიწა 103 1/2 კვ. საჟ.

შამირანოვისა, იოსებ ივანეს ძის: ფრანგების ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 120 კვადრ. საჟ.

ფულაძეთა: სოლომონ ნიკოლოზის ძის, სამსონ, სპირიდონ, ალექსანდრე და სიმონ კონსტანტინეს ძეთა: ენიაზის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვეითკრის დუქანი და მიწა 23 კვ. საჟ.

დიასამიძეთა: ნესტორ და სამსონ მიხაილის ძეთა: სათაევდო ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვეითკრის დუქანი და მიწა 20 კვადრ. საჟ.

თავდადებშვილისა, დავით იოსების ძის, და ავსარქისოვისა, ფარსადან იაკობის ძის: აკოფოფოს შესახვევში ერთ-სართულიანი ქვეითკრის დუქნები და მიწა 195 კვადრ. საჟ.

ხარაზოვისა, ანნა გაბრიელის ასულის: პოლიციის ქუჩაზე ორი ორ-სართულიანი სახლი და მიწა 300 კვ. საჟ.

მემკვიდრეთა ხელთუფლიშვილისა, ბესარიონ ანდრიას ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლები და მიწა 442 კვადრ. საჟ.

გოგიჩაძისა, სიმონ დიმიტრის ძის: ინგლისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვეითკრის სახლი და მიწა 200 კვადრ. საჟ.

გამრეკელოვისა, იოანნე გიორგის ძის: მესხეთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვის სახლი და მიწა 297,54 კვადრ. საჟ.

ქუთათელაძეთა: კლემენტ პეტრეს ძის და მეუღლისა მისისა ეკატერინესი: გეგუთის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვეითკრის სახლი და მიწა 200 კვადრ. საჟ.

მურადოვისა, თომა პაველს ძის: ბალახვანის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვეითკრის დუქნები და მიწა 54 კვადრ. საჟ.

ალიბეგოვთა: იოსებ, ალექსანდრე 2/3 ივანე ხეთისოფლარის ძეთა: ლევაშოვის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 1270 კვ. საჟ.

გაბუნიასი, ნატალია ქრისტეფორეს ასულის: ტფილისის ქუჩაზე ორი ერთ-სართულიანი სახლი — ერთი ქვეითკრისა, და მეორე ხისა და მიწა 284 კვადრ. საჟ.

კეკიანისა, ტასია გლახუას ასულის: ზუბოვის შესახვევში ერთ-სართულიანი სახლი და მიწა 144 კვ. საჟ.

ლორთქიფანიძისა ნიკოლოზ გიორგის ძის: მესხეთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 667 კვადრ. საჟ.

რუხაძისა, კესარია ათანასის ასულის: ორპირის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვეითკრის სახლი და მიწა 89 კვადრ. საჟ.

მემკვიდრეთა თხოლოვანისა, სიმონ ევსეიოს ძის: ალექსანდრეს სლობოდაში ერთ-სართულიანი ქვეითკრის სახლი და მიწა 189 კვად. საჟ.

მებუკისა, ბესარიონ ევსეიოს ძის: ნემეცის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვეითკრის სახლი და მიწა 309 კვ. საჟ.

ფოდოდებერიძისა, ნიკოლოზ ზაალის ძის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 213 კვადრ. საჟ.

ზერგელისა, ნატალია მოსეს ასულის: ტფილისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვეითკრის სახლი, სარდაფით, და მიწა 198 კვადრ. საჟ.

ქალანთაროვისა, დავით კარაპეტის ძის: ივანოვის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი ქვეითკრის სახლი და მიწა 298 კვად. საჟ.

რუხაძისა, ეასილი ბერუკას ძის, და ახობაძის, სტეფანე ანდრიას ძისა: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვეითკრის დუქნები და მიწა 116 კვადრ. საჟ.

მესხისა, მიზარეგ ფირანის ძის: ივანოვის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვეითკრის სახლი, სარდაფით, და მიწა 189 კვადრ. საჟენი.

მატარაძეთა: მიხაილ, ივანე და იოსებ დიმიტრის ძეთა: სოლაზე ერთ-სართულიანი ქვეითკრის სახლი და მიწა 138 კვადრ. საჟ.

ნაიტაკისა, ანნა ბესარიონის ასულის: ტფილისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 213 კვ. საჟ.

ფიჩხაძისა, მამაჯან ისრაილის ძის: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვეითკრის დუქანი და მიწი 9 კვად. საჟ. 1 კვადრ. ალაბი.

ხურციძისა, თედორე ვახუშტის ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი, დუქანი და მიწა 860 კვადრ. საჟ.

ხუნჯუასი, ნიკო გიორგის ძის: არტილერიის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვეითკრის სახლი და მიწა 1473 კვადრ. საჟ.

წერეთლისა, სიმონ დავითის ძის: ინგლისის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვეითკრის სახლი და მიწა 1044 კვ. საჟ.

ჩარკვიანისა, გიორგი ოქროპირის ძის: წულუკიძის შესახვევში ორი სახლი—ერთი ორ-სართულიანი და მეორე ერთ სართულიანი და მიწა 63 კვადრ. საჟ.

მემკვიდრეთა ჩარექოვისა, ელისაბედ სიმონის ასულის: მახლობლად ქუთაისის რკინის გზის საგდურისა ორი ხის სახლი და მიწა 8006 კვად. საჟ.

ერისთვისა, კონსტანტინე სიმონის ძის: ტფილისის ქუჩაზე ორი ორ-სართულიანი ქვეითკრის სახლი და მიწა 1200 კვადრ. საჟ.

ალავიძეთა: ნიკოლოზ და ნოშრევან ოქროპირის ძეთა: ივანოვის ქუჩის ესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 224 კვადრ. საჟ.

ავალიანისა, ლუკა სიმონის ძის: ტფილისის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვეითკრის სახლი და მიწა 195 კვ. საჟ.

ბინიაურიშვილთა: არონ, დავით, ისხაკა და მიხაილ ელოს ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვეითკრის დუქანი და მიწა 7 კვად. საჟ.

მემკვიდრეთა გეგრაძისა, ნიკო გლახუას ძის: ალექსანდრეს სლობოდის მეორე ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 279 კვადრ. საჟ.

გოკიელოვისა, იაკობ ივანეს ძის: ნემეცის ქუჩაზე ორი ქვეითკრის ორ-სართულიანი სახლი და მიწა 288 კვადრ.

გაბაშვილისა, ისიდორე გიორგის ძის: მეოთხე საპრისთავოში ქვეითკრის სახლი და მიწა 4 დესეტ. 102 კვადრ. საჟ.

გაბუნიასი, მიხაილ ბეჟანის ძის, და ძაგანიასი, ოთარა დუტუს ძის: გეგუთის ქუჩაზე ორი ერთ-სართულიანი სახლი—ერთი ქვეითკრისა, და მეორე ხისა და მიწა 103 კვადრ. საჟ.

დგებუაძისა, ლუარსაბ ნიკოლოზის ძის: გეგუთის ქუჩაზე ორი ერთ-სართულიანი ქვეითკრის სახლები და მიწა 198 კვადრ. საჟ.

დურნაძისა, სოლომონ არტემის ძის: მიხაილის ქუჩაზე ერთ-სართულიანი დუქნები და მიწა 57 კვ. საჟ.

ეზიგოვისა, რაფაელ სიმონის ძის: ტფილისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვეითკრის დუქანი და მიწა 44 კვად. საჟ.

ყაუხრევისა, ნინო გიორგის ასულის: ივანოვის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 264 კვადრ. საჟ.

ამირეჯიბის, ელისაბედ გრიგოლის ასულისა: ორპირის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვეითკრის სახლი და მიწა 162 კვად. საჟ.

მაჩიტაძისა, ტერენტი გიორგის ძის: რიონის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 353 კვადრ. საჟ.

მარჯანოვისა, კონსტანტინე ანდრიას ძის: არქიერის გორაზე ერთ-სართულიანი ქვეითკრის სახლი, ბაღით, და მიწა 1800 კვადრ. საჟ.

მაღლაფერიძისა, თომა მამუკას ძის, და კვეტელაკვასი, ყარამან მიხაილის ძის: მესხეთის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 215 კვადრ. საჟ.

მემკვიდრეთა ნიკოლაძისა, იოანე მათეს ძის: გიმნაზიის და სათაევდო ქუჩებს შუა ორ-სართულიანი ქვეითკრის სახლი დუქნებით და მიწა 216 კვადრ. საჟ.

ფიჩხაძეთა, მანუახა, აბრამა და შამოელა შაფათას ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვეითკრის დუქანი და მიწა 11,8 კვადრ. საჟ.

ცქიტიშვილისა, ფილიპე ზაალის ძის: მესხეთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 118 კვ. საჟ.

ცაგარელისა, ნიკოლოზ გიორგის ძის: ნემეცის ქუჩის შესახვევში ორი ერთ-სართულიანი ხის სახლები და მიწა 52 კვადრ. საჟ.

წერეთლისა, მარიამ ბერის ასულის: ტფილისის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 398 კვად. საჟ.

ჭიბაძისა, რომანოზ ნიკოლოზის ძის: ღენერლის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ხის სახლი, სარდაფით, და მიწა 243 კვადრ. საჟ.

შაშუაშვილთა: შალომა აბრამის ძისა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვეითკრის დუქანი და მიწა 8 კვადრ. საჟ. 5 კვ. ალაბი.

ელუაშვილისა, მოშა აბრამის ძის: გელათის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 89 კვადრ. საჟ.

ბალოტნიცკისა, თეკლე გაბრიელის ასულის: ლევაშოვის ქუჩაზე ორი ერთ-სართულიანი სახლები—ქვეითკრისა და ხისა და მიწა 120 კვადრ. საჟ.

ბუზიაშვილთა: არონ, იაკობის ძის, შამოელ, მიხაილ და რაფაელ ისხაკას ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვეითკრის დუქანი და მიწა 15 კვადრ. საჟ. და 5 კვ. ალაბი.

გაბაშვილისა, ბესარიონ ალექსის ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვეითკრის დუქნები და მიწა 72 კვადრ. საჟ.

მემკვიდრეთა ქებაძისა, სოლომონ გრიგოლის ძის: იანოვის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვეითკრის სახლი და მიწა 203 კვადრ. საჟ.

ანდელეკისა, ბესარიონ ოქროპირის ძის: ტფილისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვეითკრის სახლი და მიწა 300 კვადრ. საჟ.

ლორთქიფანიძისა, ანტონ ნიკოლოზის ძის: ორპირის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვეითკრის სახლი და მიწა 190 კვადრ. საჟ.

მიხეშვილისა, ალექსი იოსების ძის: ლაზარეთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვეითკრის სახლი და მიწა 103 კვადრ. საჟ.

თავდადებშვილისა, აბრამ მარდახას ძის: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვეითკრის დუქანი და მიწა 6 კვადრ. საჟ. 4 კვადრ. ალაბი.

ჩარკვიანისა, ეკატერინა ანდრიას ასულის: მთის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვეითკრის სახლი და მიწა 423 კვადრ. საჟ.

ჭედიასი, პეტრე დავითის ძის: ლევაშოვის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 157 კვადრ. საჟ.

შავგულიძისა, იოსებ შაქარას ძის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვეითკრის სახლი და მიწა 227 კვად. საჟ.

ელიგულაიშვილთა, ყობო და მარდახ ისხაკის ძეთა: წულუკიძის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვეითკრის სახლი და მიწა 81 კვადრ. საჟ.

ნაკაშიძისა, ბარბარე სოლომონის ასულისა: ტფილისის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვეითკრის სახლი, სარდაფით, ბაღით, და მიწა 1314 კვ. საჟ.

აბულაძისა, დავით გიორგის ძის: სოლაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 157 1/2 კვადრ. საჟ.

აკოფოვისა, სოლომონ პეტრეს ძის: ფრანგების ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 50 კვადრ. საჟ.

ჯიმშეროვისა, დომინიკა ნიკოლოზის ასულისა: გეგნაზიის ქუჩაზე ორი ქვეითკრის სახლები—ერთი ორ-სართულიანი და მეორე ერთ-სართულიანი და მიწა 241 კვადრ. საჟ.

გაბაევისა, ბესარიონ ალექსის ძის: გორას ქვეშეთის ქუჩაზე ორი ქვეითკრის სახლი და მიწა 300 კვადრ. საჟ.

გაბაევისა, ისიდორე გიორგის ძის: ლაზარეთის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვეითკრის სახლი და მიწა 120 კვადრ. საჟ.

ჯანოვთა: სტეფანე, მიხაილ და ალექსანდრე გეოს ძეთა: პოლიციის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვეითკრის სახლი და მიწა 1123 კვადრ. საჟ.

ჯინოშვილისა, პაველ ივანეს ძის: მიხაილის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვეითკრისი დუქნები და მიწა 434 კვადრ. საჟ.

ივანოვთა: იოსებ და თედორე გრიგოლის ძეთა, და სულიკოვისა, გიორგი ელიზბარის ძის: ბალახვანის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 70 კვადრ. საჟ.

ისაევისა, მიხაილ პეტრეს ძის: უსახელო ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 254 კვადრ. საჟ.

მდებრიშვილისა, იანე იოსების ძის: იანარეის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 276 კვადრ. საჟ.

მურადოვისა, თომა პაველეს ძის, ბალახვანის ქუჩაზე ორი სახლი ქვითკირისა და ხისა და მიწა 422 კვადრ. საჟ.

